გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 138

2020 წლის ოქტომბერი
ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2020 წლის მაისიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2020 წლის მაისიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2020 წლის მაისიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში, 2020 წლის მაისის თვიდან გაგრძელდა საგაზაფხულო გაწვევა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, რომელიც მიმდინარეობდა 30.06.2020წ-მდე. გორის ნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურს, ზ/აღნიშნულ პერიოდში გასაწვევი წვევამდელების რაოდენობა განესაზღვრა ახალი გეგმა-გრაფიკით, სულ-32 წვევამდელის გაწვევა. საქართველოს წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში, სამხედრო სამსახურის მიერ ჩაყვანილი იქნა-62 წვევამდელი, საიდანაც სხვადასხვა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში ჩარიცხული იქნა-35 წვევამდელი, ნაწილი დაბრუნებული იქნა უკან, არადამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. გარდა ამისა, შსს ვადიან სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა-11 წვ; ხოლო არასამხედროალტერნატიულ სამსახურში-1 წვ. კანონის შესაბამისად, 29-ე და 30-ე მუხლების საფუძველზე, გაწვევა გადაევადა - 89 წვევამდელს, აქედან გაწვევიდან გადავადებისათვის გათვალისწინებული მოსაკრებელი 2000 (ორი ათასი) ლარი გადაიხადა ერთმა წვევამდელმა.

ივლისის თვეში, მოთხოვნილი ფორმების შესაბამისად, მომზადდა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარედგინა საგაზაფხულო გაწვევის და აგრეთვე 2003 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის ანგარიში. ა/წლის ივლისის თვეში, მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები საშემოდგომო გაწვევისათვის: გადაეწყო-მომზადდა გამწვევი კომისიის გავლას დაქვემდებარებულ წვევამდელთა კართოთეკა, გამოძახების უწყებები და გამოძახების სიები.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2020 წლის საშემოდგომო გაწვევა დაიწყო 3 აგვისტოს და გრძელდება 26 დეკემბრამდე. სიტყვიერი დავალების თანახმად, აგვისტოს თვეში გამოძახებული და წვევამდელთა შემკრებგამანაწილებელ პუნქტში, გამწვევი-სამედიცინო კომისიის გასავლელად ჩაყვანილი იქნა ის წვევამდელები, რომლებიც სამედიცინო კომისიამ, ერთხელ უკვე სცნო შეზღუდულად ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის 3 წლით და გაუვიდათ გადავადების ვადა, ხოლო სექტემბრის თვიდან, ეტაპობრივად მიმდინარეობს, გამწვევ კომისიას დაქვემდებარებული, ყველა წვევამდელის გამოძახება. წვევამდელთა შემკრებ პუნქტში, დღემდე ჩაყვანილია სულ- 149 წვევამდელი, საიდანაც გამწვევ-სამედიცინო კომისიის გავლის შემდეგ, ჩაირიცხული იქნა- 48 წვ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ვადიან სამხედრო-საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა-1, მომზადებულია დოკუმენტაცია 6 წვევამდელზე, ალტერნატიულ-შრომით სამსახურში გასაწვევად. კანონის შესაბამისად, 29-ე და 30-ე მუხლების საფუძველზე, გაწვევა გადაევადა - 227 წვევამდელს, აქედან ე.წ. "გირჩი"-ს მოწმობა წარმოადგინა- 95 წვევამდელმა. გამოუცხადებლობის გამო, პოლიციის განყოფილებებს, აგვისტო-სექტემბრის თვეში, გადაეცა- 172 წვევამდელის სახელობითი სია. 2020 წლის მაისის თვიდან დღემდე, სათანადო მომართვების საფუძველზე, მომზადდა პირადი საქმე 2-2 ეგზემპლარად და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საკონტრაქტო

პროფესიულ სამსახურში გაწვეული იქნა- 51 რეკრუტი. წლის განმავლობაში, სამხედრო სამსახურში განუწყვეტლივ მიმდინარეობს მოქალაქეების რეზერვისტთა საერთო აღრიცხვაზე აყვანა, ამ მიზნით, აღნიშნულ პერიოდში, აღრიცხვაზე აყვანილია- 412 რეზერვისტი. მოქალაქეთა მოთმოთხოვნის შესაბამისად, გამოიწერა და გაიცა რეზერვისტის - 107, ხოლო წვევამდელის481 სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა. უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოთხოვნით, მათ მიერ კონტროლირებად ბაზაში, განუწყვეტლივ მიმდინარეობს ელექტრონულად, თვითოეულ წვევამდელზე ინფორმაციის განახლება. ამრიგად, ყოველივე ზემოთ აღნიშნული, არის ის ძირითადი სამუშაოები, რომელიც ჩაატარა სამხედრო სამსახურმა, 2020 წლის მაისის თვიდან დღემდე, რაც დადასტურებულია დოკუმენტაციით.